ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 16 01 2015 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ რექტორის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 02-02/03

## ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში“ 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის ვაკანსიების, ადმინისტრირების ვადების განსაზღვრისა და წარმოსადგენი საბუთების ნუსხის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-9 მუხლის, ,,მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 12 იანვრის №10 ბრძანების, „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” VII თავის, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის” (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ” ქვეპუნქტისა და ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N1/67, 16.01.2015), ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (N1/61, 15.01.2015), ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (N1/40, 14.01.2015) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები მობილობისთვის 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სკოლების (ფაკულტეტების) და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში (ფაკულტეტზე)

ა.ა) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 და მე-4 სემესტრი) - 10 ადგილი.

ა.ბ) ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 და მე-4 სემესტრი) - 10 ადგილი.

ა.გ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პროცესების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 და მე-4 სემესტრი) – 30 ადგილი;

ა.დ) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 სემესტრი) - 15 ადგილი .

ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში (ფაკულტეტზე) საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 სემესტრი) - 3 ადგილი.

გ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში (ფაკულტეტზე) საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 სემესტრი) - 3 ადგილი.

დ) ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)

დ.ა) მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 სემესტრი) - 5 ადგილი;

დ.ბ) ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 სემესტრი) - 3 ადგილი.

ე) ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)

ე.ა) ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 და მე-4 სემესტრი) - 20 ადგილი;

ე.ბ) მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 და მე-4 სემესტრი) - 10 ადგილი;

ე.გ) გამოყენებითი ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-2 და მე-4 სემესტრი) - 20 ადგილი.

2. 2014 - 2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირებისთვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2015 წლის 9 – 11 თებერვალი;

ბ) კრედიტების აღიარება - 2015 წლის 12 - 13 თებერვალი;

გ) მენეჯმენტის, აგრეთვე ფინანსები სა საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის განხორციელების მსურველთათვის გასაუბრება კრედიტების აღიარების კომისიასთან - 2015 წლის 12 თებერვალს;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე - 2015 წლის 16 თებერვალი;

დ) მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2015 წლის 17 - 18 თებერვალი.

3.დადგინდეს მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (ივსება ადგილზე);

ბ) სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სანოტარო წესით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებმა);

ე) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და სხვ.) ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

ვ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) ასლი (სანოტარო წესით ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული).

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს.

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6);

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე